

შრომითი ხელშეკრულება N16

დღენი

„-01-“ „ივლისი“ 2023წ

მუხლი 1. კონტრაქტის მხარეები და მისი იურიდიული სტატუსი:

1.1 წინამდებარე შრომის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) მხარეები არიან ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „დამსაქმებელი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი გაზდელიანის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე: - ამირან ლიპარტელიანთან (პ/ნ 27001002035) (შემდგომში დამსაქმებელი).

1.2 ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“) საფუძველზე და არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და თანმდევ ურთიერთობებს.

1.3 დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების ძალასი შესვლის დღიდან.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება.

2.2 მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში დასაქმებული შრომით საქმიანობას ახორციელებს ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში, როგორც მოწვეული სპეციალისტი თანამდებობაზე საკრებულოს დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3 დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი:

3.1 გააცნოს დასაქმებულს შრომის შინაგანაწესი.

3.2 გადაუხადოს დასაქმებულს შრომის ხელფასი თვეში: 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3.3 შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა.

მუხლი 4 დასაქმებულის უფლება-მოვალეობანი.

4.1 მოითხოვოს და მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური შრომის ანაზღაურება.

4.2 კეთილსინდისიერად დროულად და საკუთარი პასუხისმგებლობით შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ასევე დამსაქმებლის მოთხოვნები მითითებები და დირექტივები (ზეპირი ან წერილობითი) თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 5 ხელშეკრულების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2023 წლის „01“ „ივლისი“- დან და მოქმედებს 2023 წლის „31“ „დეკემბრამდე“.

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამსაქმებლის ბრძანებით. დასაქმებულის თანხმობა შრომითი ურთიერთობის ვადის გაგრძელებაზე დასტურდება ხელმოწერით.

მუხლი 6 დასკვნითი დებულებები.

6.1 ხელშეკრულება გაფერმებულია ორ ეგზემპლარად ერთი ინახება დამსაქმებელთან, მეორე დასაქმებულთან. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.


6.2 ქვემოთ ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ თანხმობებს წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

დასაქმებელი

დასაქმებული

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:  /გ. გაზდელიანი/



ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი გაზდელიანს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას განსახილველი საკითხების და კომისიაში შემოსული განცხადებების მოცულობიდან გამომდინარე სჭირდება დამხმარე სპეციალისტი.

გთხოვთ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულებისმე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების საფუძველზე 6(ექვსი) თვით მოვიწვიოთ ექსპერტ - კონსულტანტი.

პატივისცემით,

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე:

ს. ჯუღაშვილი

/ს.ავალიანი/

